

## **აფხაზეთის მთავრობის დადგენილება №33**

2005 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

### **საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტოს“ შექმნის შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. აფხაზეთის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის გეოლოგიის განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტო“.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ: (სსმ. ვებგვერდი, 2014 წლის 21 მარტი #21, 25.03.2014წ. 040030000.32.061.016086)

ა) განახორციელოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი;

ბ) უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აფხაზეთის გეოლოგიის და მინერალური რესურსების სააგენტოს დებულების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.

3. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატმა. (სსმ. ვებგვერდი, 2014 წლის 21 მარტი #21, 25.03.2014წ. 040030000.32.061.016086)

4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მთავრობის თავმჯდომარე ი. ალასანია**